

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში თამბაქოს  
მოწევის აკრძალვის წესი**

**მუხლი 1. პრეამბულა**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში თამბაქოს მოწევის აკრძალვის წესი შემუშავებულია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 171<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის, საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე და 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გ) ქვეპუნქტის საფუძველზე და მიზნით ისახავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა და მოქალაქეთა მიმართ თამბაქოს მოხმარების აკრძალვას, მოხმარების შედეგად გამოწვეული დაავადებებიანობის შემცირებას, არამწეველთა დაცვას თამბაქოს მავნე ზემოქმედებისაგან და არამწევლობის ცხოვრების ნორმის დადგენას.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ა) **თამბაქოს ნაწარმი** – თამბაქოს ან მისი ელემენტების შემცველი ნაწარმი: ფილტრიანი სიგარეტი და უფილტრო სიგარეტი, პაპიროსი, სიგარა, სიგარილა, საჩიბუხე თამბაქო, ჩილიმისთვის განკუთვნილი თამბაქო, შესახვევი თუთუნი;

ბ) **თამბაქოს აქსესუარი ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობა** – მუნდშტუკი, ჩიბუხი, ჩილიმი, საწუწნი თამბაქოს მოწყობილობა, შესასუნთქი თამბაქოს მოწყობილობა, ელექტრონული სიგარეტი ან სხვა მსგავსი მოწყობილობა, სიგარეტის ასანთები სპეციალური სასანთებელი, თამბაქოს გასახვევი ქაღალდი, თამბაქოს შესახვევი აპარატი, თამბაქოს დასაჭრელი აპარატი, საფერფლე, ნებისმიერი სახის პორტსიგარი ან სხვა საგანი, რომელიც განკუთვნილია უპირატესად თამბაქოს მოხმარებისთვის ან/და შენახვისთვის, აგრეთვე სიგარეტის, მისი კოლოფის ან ზემოაღნიშნული საგნის ილუსტრაცია ან მისი გამომსახველი სხვა საგანი;

ბ) **სიგარეტი** – თამბაქოს ან მისი ელემენტების შემცველი ნებისმიერი სახის გრაგნილი ან მილისებრი აგებულების კონსტრუქცია, რომელიც გახვეულია ქაღალდში ან კანონით დაშვებულ სხვა მასალაში, რომელიც არ შეიცავს თამბაქოს;

დ) **თამბაქოს მოწევა** – თამბაქოს ნაწარმის წვის ან გახურების შედეგად გამოყოფილი პირველადი კვამლის ან ორთქლის შესუნთქვა;

**მუხლი 3.**

1. აკრძალულია თამბაქოს მოწევა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის:

ა) ვესტიბულში - I და III სართულზე;

ბ) დერეფანში - II სართულზე;

გ) კიბის უჯრედებში I, II და III სართულზე;

დ) სამუშაო ოთახებში I, II და III სართულზე;

ე) აგრეთვე იმ ოთახებში, რომლებიც გამოიყენება დამხმარე სათავსოებად.

2. აკრძალულია შემდეგი თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის ჰქონა სამუშაო ოთახებში: მუნდშტუკი, ჩიბუხი, ჩილიმი, საწუწნი თამბაქოს მოწყობილობა, შესასუნთქი თამბაქოს მოწყობილობა, ელექტრონული სიგარეტი ან სხვა მსგავსი მოწყობილობა, თამბაქოს გასახვევი ქაღალდი, თამბაქოს შესახვევი აპარატი, თამბაქოს დასაჭრელი აპარატი, საფერფლე, ნებისმიერი სახის პორტსიგარი ან სხვა საგანი, რომელიც განკუთვნილია უპირატესად თამბაქოს მოხმარებისთვის ან/და შენახვისთვის, აგრეთვე სიგარეტის, მისი კოლოფის ან ზემოაღნიშნული საგნების ილუსტრაცია.

**მუხლი 4. პასუხისმგებლობის სახეები ამ წესის დარღვევისათვის**

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეები, საკრებულოს წევრები და საკრებულოს თანამდებობის პირები ვალდებული არიან დაიცვან დაწესებულებაში თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით სპეციალურად შემუშავებული ამ წესის დებულებები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გასაზღვრული პირების მიერ ამ წესის დებულებების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობის შემდეგი ზომის შეფარდებას:

ა) თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 30 პროცენტამდე დაკავებას 1-დან 3 თვემდე ვადით.

ბ) ამ წესის დებულებების განმეორებით დარღვევის შემთხვევაში, თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავებას 1-დან 6 თვემდე ვადით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გადაწყვეტილებას დებულობს დაწესებულების ხელმძღვანელი, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბრძანებას, საკრებულოს აპარატის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნული იქნება დარღვევის გამოვლენის ფაქტი, დამრღვევი პირის ვინაობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის დრო და ადგილი.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი-ბრძანება აღსარულვლად გადაეგზავნება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.

**მუხლი 5. თამბაქოს მოწევის აკრძალვის წესის დაცვაზე, დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე და აღკვეთაზე პასუხისმგებელი პირი და მისი უფლებამოსილება**

1. თამბაქოს მოწევის აკრძალვის წესის დაცვაზე, დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე და აღკვეთაზე პასუხისმგებელ პირს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს მონიტორინგი საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში;

ბ) შეუფერხებლად შევიდეს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის ნებისმიერ სამუშაო ოთახში, რომელსაც გამოიყენებენ სამსახურებრივად საჯარო მოხელეები;

გ) პრევენციის მიზნით მიუთითოს დამღვევ საჯარო მოსამსახურეს შეწყვიტოს ამ წესის დარღვევა და განუმარტოს დამატებით, შესაძლო გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომების შესახებ;

დ) საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე შეადგინოს მოხსენებითი ბარათი დამღვევის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების თაობაზე.

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტის მოქალაქის მიერ ჩადენის შემთხვევაში თამბაქოს მოწევის აკრძალვის წესის დაცვაზე, დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე და აღკვეთაზე პასუხისმგებელმა პირმა მოქალაქეს უნდა მოუწოდოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის აღმოფხვრის შესახებ, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გამოიძახოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომელი.

**მუხლი 6. წესში ცვლილების და დამატების შეტანა**

1. ამ წესში ცვლილებების და დამატებების შეტანის ინიცირების უფლება აქვს დაწესებულების ხელმძღვანელს, საკრებულოს თანამდებობის პირებს და ყველა საჯარო მოსამსახურეს, რომელიც წარადგენს სათანადო და დასაბუთებულ მოხსენებით ბარათს.

2. დაწესებულების ხელმძღვანელი ამ წესში ცვლილებისა და დამატების შეტანას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე

